

ფ/პ ზურაბ ჩიტორელიძე

ტყიბული, სოფ. კურსები


ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის

მოწყობა-ექსპლოატაციის

სკრინინგის განაცხადი

შემსრულებელი: შპს „სამნი+“

დირექტორი: თ. კეპულაძე
მობ.: 5 91 15 72 72



ფ/პ ზურაბ ჩიტორელიძე

პ/ნ 41001028549
მობ.: 5 79 40 24 23



ტყიბული 2023

სარჩევი

1. შესავალი	3
2. დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები.....	4
3. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.	4
4. ტექნოლოგიური პროცესი და ინფრასტრუქტურის ელემენტები.....	15
4.1. მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები.....	18
4.2. საჭირო ნედლეული და მიღებული პროდუქცია	18
5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საამქროს ფუნქციონირების პროცესში	20
5.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.....	20
5.2. ხმაურის ზემოქმედება	22
5.3. ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე	23
5.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე	24
5.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	24
5.6. ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე.....	26
5.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე....	26
5.8. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე.....	26
5.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება	27
5.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	27
5.11. კუმულაციური ზემოქმედება	28
5.12. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	33
დ ა ნ ა რ თ ე ბ ი	34
დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.	35
დანართი 2. იჯარის ხელშეკრულება.....	37
დანართი 3. მერიის წერილი.....	40
დანართი 4. პასუხები სააგენტოს № 21/781 09/02/2023 წერილზე.....	41

1. შესავალი

ფ/პ ზურაბ ჩიტორელიძე (პ/ნ 41001028549), ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. კურსების ტერიტორიაზე ი.მ. ზურაბ ჩიტორელიძისაგან (პ/ნ 41001009750) იჯარით აღებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის კოდი 39.07.23.033) გეგმავს ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მოწყობა ექსპლუატაციას.

რადგან მინერალური რესურსების გადამუშავება წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 5.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, იგივე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარდგენილი იქნა სააგენტოში.

სააგენტოს N 21/781 09/02/2023 წერილით გამოგზავნილი იქნა შენიშვნები ცალკეული საკითხების დაზუსტების მიზნით, რომლის შესაბამისადაც მოხდა სკრინინგის განაცხადის დაზუსტება და სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით სააგენტოში წარდგენა.

სააგენტოს N 21/2323 04/04/2023 წერილით, ისევ გამოგვეგზავნა შენიშვნები, ცალკეული საკითხების დაზუსტების მიზნით, რომლის შესაბამისადაც გადამუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

საქმიანობის განმახორციელებელი	ფ/პ ზურაბ ჩიტორელიძე
იურიდიული მისამართი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურსები
საქმიანობის განხორციელების მისამართი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურსები
საქმიანობის სახე	ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი
საკონტაქტო ტელეფონი	5 95 65 84 44 5 79 40 24 23
E-mail:	zurab.chitorelidze@gmail.com
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი+“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 91 15 72 72


2. დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები

პროექტის განხორციელების ადგილი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურსები
ნაკვეთის საკადასტრო კოდი	39.07.23.033
საპროექტო წარმადობა	0,5 ტ/სთ; 400 ტ/წელ ქვის მსხვრევა-დახარისხება
მეთოდი	მშრალი
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	200
საათების რაოდენობა დღე-ღამეში	4
გამოყენებული რესურსები	ტემენიტის ქვის ნატეხები
თანამშრომლების რაოდენობა	2
დამორება უახლოესი საცხოვრებელი ზონიდან	44 მ

3. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.

ფ/პ ზურაბ ჩიტორელიძის ქვის სამსხვრევე დამხარისხებელი დანადგარის მოწყობა დაგეგმილია იჯარით აღებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკ. კოდი 39.07.23.033, რომელზედაც გასულ საუკუნეში ფუნქციონირებდა ქვის (ტემენიტის) გადამამუშავებელი საწარმო. ნაკვეთის საერთო ფართი შეადგენს 501 მ².

საპროექტო ნაკვეთის წვეროთა ნუმერაცია მოცემულია ნახაზზე 3.1. ხოლო კოორდინატები ცხრილში 3.1.



ნახაზი 3.1

ცხრილი 3.1.

წერტილის ნომერი	GPS კოორდინატები	
	X	Y
1	317943,51	4687730,07
2	317962,31	4687736,47
3	317969,81	4687712,31
4	317951,07	4687706,02

საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილი იყო კაპიტალური შენობა, რომელშიდაც განთავსებული იყო ტექნოლოგიური დანადგარები.

ამჟამად შენობა დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ ბეტონის საძირკველი და ყბებიანი სამსხვრევის კორპუსი, რომელიც განთავსებული იყო შენობის შიგნით. სხვა დანადგარები და შენობის დაშლის შედეგად მიღებული მასალები გატანილია ტერიტორიიდან (სურათი 3.1. და 3.2.).



სურათი 3.1.



სურათი 3.2.

განსახილველი ტერიტორია მდებარეობს იდუმალას ღელის ხეობაში, მარცხენა სანაპიროზე. ყოფილი შენობის საძირკველი კალაპოტიდან დაშორებულია 10 მ-ზე მეტი მანძილით.

ტერიტორიას აღმოსავლეთით და დასავლეთით ესაზღვრება შიდასასოფლო გზები, რომლებიც ერთმანეთს უერთდება ტერიტორიის ჩრდილოეთით (სურათი 3.3. და 3.4.).



სურათი 3.3.




სურათი 3.4.

ჩრდილოეთით ტერიტორიასთან გადის ენერგო-პრო ჯორჯიას 35 კვტ-იანი გადამცემი ხაზი. სამხრეთით უშუალოდ ესაზღვრება ი/მ ზურაბ ჩიტორელიძის ქვის დამამუშავებელი საწარმოს ტერიტორია (სურათი 3.5).



სურათი 3.5. უახლოესი საწარმო

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს აღმოსავლეთით, საკადასტრო საზღვრიდან 35 მ-ის დაშორებით. ჰიფსომეტრულად 12 მ-ით მაღალ ნიშნულზე (სურათი 3.6.). საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ყბებიანი სამსხვრევის კორპუსიდან საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს 44 მ-ს (ნახაზი 3.2.).



ნახაზი 3.2.



სურათი 3.6.

სამხრეთით, ღელე იდუმალას წყლის ხეობაში განთავსებულია ქვის დამამუშავებელი საწარმოთა ტერიტორიები და შენობები. 40 მეტრში მდებარეობს შპს „ქართული გრანიტის“ ქვის სამსხვრევი საწარმო (სურათი 3.7.).




სურათი 3.7.

სამხრეთით, საკადასტრო საზღვრიდან 150 მ-ში მდებარეობს ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო ხაზი, ხოლო 230 მ-ში ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზა.

ტერიტორიიდან უახლოესი წყლის ობიექტი ღელე იდუმალას წყალი (სურათი 3.8.) მდებარეობს დასავლეთით, 10 მ-ში, ხოლო სამხრეთით 170 მ-ში მიედინება მდ. წყალწითელა (ნახაზი 3.3).



სურათი 3.8.



ნახაზი 3.3.

საპროექტო ტერიტორიის განთავსება და მანძილები უახლოეს ობიექტებამდე მოცემულია ნახაზზე 3.4.

განსახილველი ტერიტორია მდებარეობს იდუმალას დელის ხეობაში, დაბალ ნიშნულზე. აღმოსავლეთით და დასავლეთით მთების ფერდობებზე განთავსებულია საცხოვრებელი სახლები. უახლოესი საცხოვრებელი სახლი, რომელიც განთავსებულია აღმოსავლეთით 35 მ-ში, 12 მ-ით მაღალ ნიშნულზეა გათავსებული, ხოლო დასავლეთით უახლოესი სახლი, რომელიც დაშორებულია 88 მ-ით ჰიფსომეტრულად 15 მ-ით მაღალ ნიშნულზეა. უახლოესი საავტომობილო, შიდასასოფლო გზა განსახილველი ტერიტორიიდან 4 მ-ით მაღალ ნიშნულზეა განთავსებული.

საპროექტო ნაკვეთზე ბეტონის საყრდენზე დგას ყბებიანი სამსხვრევის კორპუსი, აღნიშნული კორპუსის გადაადგილება დაგეგმილი არ არის, სხვა ტექნოლოგიური დანადგარები განლაგდება მის მიმდებარედ, ყოფილი შენობის საძირკველის შიგნით.

საპროექტო ნაკვეთის 500 მეტრიან რადიუსში მდებარეობს ქვის დამამუშავებელი საწარმოები და საკარმიდამო ეზოები (ნახაზი 3.5.).


საწარმო ობიექტები განლაგებულია ტერიტორიის ჩრდილოეთით და სამხრეთით ღელე იდუმალას წყლის და წყალწითელას ხეობაში.

საპროექტო ნაკვეთის 500 მეტრიან რადიუსში დაცული ტერიტორიები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არის განთავსებული. უახლოესი სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწა მდებარეობს აღმოსავლეთით, ტერიტორიიდან 500 მ-ზე მეტი მანძილით (ნახაზი 3.6).

ნახაზი 3.4.



ნახაზი 3.5. 500 მეტრიანი ზონა



ნახაზი 3.6.



4. ტექნოლოგიური პროცესი და ინფრასტრუქტურის ელემენტები

ქვის მსხვრევა დაგეგმილია უმარტივესი მეთოდისა და ტექნოლოგიური დანადგარების გამოყენებით.

დაგეგმილია არსებული სამსხვრევის კორპუსის აღჭურვა მუშა ელემენტებით და ძრავით, მოწყობა ღარი და მბრუნავი საცერი.

ტექნოლოგიური დანადგარების განთავსება მოხდება მსუბუქი კონსტრუქციის (ფარდულის ტიპის) შენობაში, რომელიც სამი მხრიდან იქნება დახურული, ხოლო ერთი (დასავლეთით) მხრიდან ღია.

საწარმოსათვის საჭირო ნედლეული, მცირე ზომის ნატეხები შემოიზიდება მოსაზღვრედ არსებული, ი/მ ზურაბ ჩიტორელიძის ქვის დამამუშავებელი საწარმოდან.

სამსხვრევეში ქვების ჩაყრა მოხდება ხელით.

ტექნოლოგიური პროცესი შემდეგია:

ნედლეული ხელით იყრება ყბებიანი სამსხვრევეში.

სამსხვრევიდან დამტვრეული ქვა ღარით მიეწოდება ცილინდრულ მბრუნავ საცერს, რომლის ზომები იქნება: დიამეტრი 0,9 მ. სიგრძე 3 მ. საცერზე დამონტაჟდება 3 სხვადასხვა ზომის ცხაური, პირველი 5 მმ-იანი, შუაში 15 მმ-იანი, ბოლოს 30 მმ-იანი. დამსხვრეული ქვის საცერში გავლის დროს საცერი იბრუნებს დაბალი სიჩქარით, პირველი განყოფილებიდან გამოიყოფა 0-5 მმ-იანი ფრაქცია; მეორედან 5-15 მმ-იანი, მესამედან 15-30 მმ-იანი. უფრო მსხვილი ნატეხი ჩამოიყრება საცერის ბოლოდან ბაქანზე.


ცხაურის ზომები პრობითია, შესაძლებელია მათი ზომების კორექტირება საჭირო ფრაქციის ღორღის მისაღებად.

ფრაქციული ღორღი ჩამოიყრება ცხავის ქვეშ ხაროებში, საიდანაც ხელის ნიჩბით დაფასოვდება ტომრებში.

მსხვილი ზომის ნატეხები ხელის ნიჩბით დაბრუნდება სამსხვრევის ბუნკერში.

ტექნოლოგიური პროცესების სქემა მოცემულია ნახაზზე 4.1. საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარების სქემა მოცემულია გენ-გეგმაზე (ნახაზი 4.2.), ხოლო ტექნოლოგიური დანადგარების პარამეტრები ცხრილში 4.1.

ტექნოლოგიური სქემა




ნახაზი 4.1

ცხრილი 4.1.

დანადგარის დასახელება	ტიპი	მახასიათებლები
სამსხვრევი	ყბებიანი СМД-106	ყბის ზომა 106 მმ; სიმძლავრე: მაქს. 5 ტ/სთ, მინ. 0,4 ტ/სთ; ძრავი 15 კვტ/სთ. 800 ზრ.
საცერი	ცილინდრული (დამზადდება კუსტარულად)	დიამეტრი -900 მმ, სიგრძე 3 მ. ძრავი 3 კვ/სთ;

ნახაზი 4.2.



4.1. მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები

განსახილველი საწარმოს მუშაობის რეჟიმი იქნება დღეში 4 საათი, წელიწადში 200 დღე, წელიწადში 800 სთ.

სამონტაჟო მოწყობილობების საათური მწარმოებლურობა იქნება 0,5 ტ/საათში, რაც დღეში შეადგენს 2 ტ პროდუქციას.

საწარმოში სულ დასაქმებული იქნება 2 ადამიანი (ერთი თავად ზურაბ ჩიტორელიძე), რომლებიც იმუშავებენ დღეში 4 საათიანი რეჟიმით.

თანამშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის დაგეგმილი არ არის საყოფაცხოვრებო სათავსოს მოწყობა, რადგან საქმიანობის განმახორციელებელი თანამშრომლები ცხოვრობენ სოფ. კურსებში, საპროექტო საწარმოს მიმდებარედ, საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოიყენებენ თავიანთ საცხოვრებელ სახლებს.

4.2. საჭირო ნედლეული და მიღებული პროდუქცია

საწარმოში ნედლეულად გამოიყენება ტემენიტის მცირე ზომის ქვები და ნატეხები, რომელიც შესყიდული იქნება მიმდებარედ არსებული ქვის დამამუშავებელი საწარმოდან. ამჟამად საპროექტო ტერიტორიაზე ი/მ ზურაბ ჩიტორელიძეს დაგროვებული აქვს არაკონდიციური ქვები და ქვის დამუშავების შედეგად მიღებული მცირე ზომის ჩამონაჭრელები (სურათი 4.1.), რომელიც საპროექტო საწარმოსათვის რამდენიმე წლის ნედლეულის მარაგია. ამდენად საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ნედლეულის ტრანსპორტირება საჭირო არ არის.



სურათი 4.1.

სხვა ნედლეული ტექნოლოგიურ პროცესში არ გამოიყენება.

ტექნოლოგიური პროცესების დროს მიიღება ფრაქციული ლორღი, რომელიც იყრება ტომრებში. საწარმოს მწარმოებლურობა შეადგენს დღეში 2 ტ ლორღს, რომელიც დღეში ერთხელ გაიტანება საწარმოს ტერიტორიიდან დაბალი ტვირთამწეობის ავტომანქანით.

პროდუქციის ტრანსპორტირების სქემა მოცემულია ნახაზზე 4.3.



ნახაზი 4.3.

5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საამქროს ფუნქციონირების პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე შესაძლო ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაბინძურება; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა.

5.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

ქვის (ტეშენიტის) მსხვრევისა და დახარისხების პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი SiO_2 -ის 20% -მდე შემცველობით. მტვერის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროს წარმოადგენს ყველა ტექნოლოგიური პროცესი და დანადგარი:

- ყბებიანი მსხვრევანა (გ-1 წყარო);
- გაფრქვევა მბრუნავი საცერიდან ჩამოცლისას (გ-2 წყარო)

- გაფრქვევის ანგარიში ყბებიანი სამსხვრეველადან (გ-1 წყარო).

ნორმატიული დოკუმენტაციის თანახმად მტვერის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი პირველადი მშრალი მსხვრევისას შეადგენს 0,14 კგ/ტ.

წელიწადში ნავარაუდები 400 ტ ქვის მსხვრევის გათვალისწინებით, მტვერის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$G=400 \times 0,14 / 1000=0,056 \text{ ტ/წელ.}$$

$$M=0,056 \times 10^6 / 800 \times 3600= 0,0194 \text{ გ/წმ.}$$

- გაფრქვევა მბრუნავი საცერიდან ჩამოცლისას (გ-2 წყარო)

გამოყოფილი მტვერის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ.}} = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times K_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:


$$K_1- 0,02 ; K_2 - 0,04 ; K_3 - 1,2 ; K_4 - 1,0 ; K_5 - 0,1 ; K_7 - 0,6 ; K_9 - 1 ; B - 0,4 ; G - 0,5 \text{ ტ/სთ.}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვრ}}= 0,02 \times 0,04 \times 1,2 \times 1,0 \times 0,1 \times 0,6 \times 1,0 \times 0,4 \times 0,5 \times 10^6 / 3600=0,0032 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}}=0,0032 \times 800 \times 3600 / 10^6=0.0092 \text{ ტ/წ}$$

ტექნოლოგიური პროცესების დროს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროები მოცემულია ნახაზზე N5.1



ნახაზი 5.1. გაფრქვევის წყაროები.

ანგარიშიდან ჩანს, რომ საწარმოს ტექნოლოგიური პროცესებიდან ჯამურად გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა - არაორგანული მტვრის ინტენსივობა შეადგენს 0,0226 გ/წმ, ხოლო წლის განმავლობაში 0,0652 ტ/წელ.

ამდენად, გაფრქვევების ანგარიშისა და მონაცემების შეჯამებით ნათლად ჩანს, რომ გამოყოფილი მტვრის რაოდენობამ არ შეიძლება გადააჭარბოს ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას როგორც უშუალო საწარმოს ტერიტორიაზე, ისე უახლოეს მოსახლესთან.

5.2. ხმაურის ზემოქმედება

ხმაურის ნორმირება ხდება საქართველოს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ მიხედვით.

აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები (ბგერის დონეები) განსაზღვრულია №1 დანართით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით დღისით, საცხოვრებელ მასივთან დასაშვები ნორმები შეადგენს 50 დბა (დანართი 1-ს მეცამეტე პუნქტი). ხოლო საცხოვრებელი და საძილე სათავსებისთვის - 35 დბა (დანართის მესამე პუნქტი).

საამქროს მოწყობის შემდეგ ხმაურის წარმოქმნის წყარო იქნება ყბებიანი სამსხვრევი და საცერი. ლიტერატურული წყაროების მიხედვით, მათი ფუნქციონირებისას წარმოქმნილი ხმაურის დონე 85 დბა-ს ფარგლებში იქნება.

ხმაურის წყაროდან ერთგვაროვან გარემოში ხმაურის დონე ბგერათმთანთქმის გარეშე, „r“ მანძილზე თეორიულად იანგარიშება ფორმულით:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \beta r / 1000 - 10 \lg \Omega, \text{ დბა}$$

სადაც,

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე; გამოყენებული მანქანა დანადგარების სიმძლავრეთა გათვალისწინებით იგი ტოლია 85 დბა.

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ - სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi / 2$ - სამ წიბოიან კუთხეში;


β – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

ხმაურის დონის თეორიული გაანგარიშება ჩატარდა ხმაურის წყაროდან 44მ-ით დაშორებულ საცხოვრებელ სახლთან ბგერათმთანთქმის გარეშე.

ზემოთმოყვანილ ფორმულაში შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$L = 85 - 15 \lg 44 + 10 \lg 1 - 10,5 \times 44 / 1000 - 10 \lg 12,56 = 48,88 \text{ დბა.}$$

როგორც წინა პარაგრაფებშია აღნიშნული, საპროექტო საამქრო განთავსდება ფურცლოვანი ლითონის მსუბუქი კონსტრუქციის შენობაში, რომელიც საცხოვრებელი სახლის მიმართულებით იქნება დახურული. საამქროს ჩრდილო კედელი იმუშავებს როგორც დამცავი ეკრანი. ლიტერატურული მონაცემებით (Борьба с шумом на производстве. Справочник. Е.Юдин. М. 1985. გვერდი 173; 224) ღია გარემოში ეკრანის მინიმალური ბგერათსაიზოლაციო ეფექტურობა შეადგენს 10-15 დბ (A). (ნახაზი 5.2).



ნახაზი 5.2.

ამასთანავე ვითვალისწინებთ, რომ საცხოვრებელ სახლსა და საპროექტო საწარმოს შორის განთავსებულია ხემცენარეები, რაც უზრუნველყოფს ხმაურის დონის შემცირებას 2-3 დეციბელით. გარდა ამისა მხედველობაში ვიღებთ, რომ საცხოვრებელი სახლი კაპიტალურია და ლიტერატურული მონაცემებით (Борьба с шумом на производстве. Справочник. Е.Юдин. М.1985. გვერდი 173; 224) მათი ეფექტურობა 25-30დბა- შეადგენს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საცხოვრებელ სახლთან ხმარის დონე იქნება 36 დეციბელის ფარგლებში, ხოლო საცხოვრებელ სახლში-11 დბა-ს ფარგლებში, რაც აკმაყოფილებს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმებს.

5.3. ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე

საქმიანობის განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, წლების განმავლობაში გამოიყენება სამეწარმეო დანიშნულებით. მასზე განთავსებული იყო ქვის დამამუშავებელი საწარმოს შენობა, რის გამოც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ტერიტორიაზე არ არსებობს. შესაბამისად ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

5.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

საწარმოში წყალი არ გამოიყენება. ტექნოლოგიური პროცესი არის მშრალი, რომელიც მიმდინარეობს გადახურულ ტერიტორიაზე. საწარმოო მოედანზე ატმოსფერული ნალექების წყალი ვერ მოხვდება, შესაბამისად ვერ გამოიწვევს სანიაღვრე წყალების დაბინძურებას.

საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი არ არის საყოფაცხოვრებო სათავსოს მოწყობა, შესაბამისად სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალაღება-წყალარინება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წყლის რესურსებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო საწარმო იდუმალას ღელის კალაპოტიდან დაშორებული იქნება 10 მ-ზე მეტი მაძილით. საწარმოში არ გამოიყენება ისეთი ნედლეული და მასალები, რომელთა გარემოში გაფანტვა გამოიწვევს ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურებას.

ამდენად ზედაპირული წყლის რესურსებზე, მათ შორის იდუმალას ღელეზე, ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

5.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყენებული ნედლეული მთლიანად, უნარჩენოდ გადადის პროდუქციაში, ამდენად ობიექტზე საწარმოო ნარჩენის წარმოქმნას ადგილი არ ექნება. დასაქმებულები საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოიყენებენ საკუთარ საცხოვრებელ სახლს, შესაბამისად საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნას ობიექტზე ადგილი არ აქნება.

საწარმოს ექსპლუატაციის დროს ცალკეული მოწყობილობის რემონტისა და შეკეთების შედეგად შესაძლებელია მცირე რაოდენობის სხვადასხვა ნარჩენის: ლითონის ჯართის, ზეთით დაბინძურებული მასალების წარმოქმნა, რომელთა მართვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმოში სულ ორი ტექნოლოგიური მოწყობილობაა, ყბებიანი სამსხვრევი და მბრუნავი საცერი, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი ნარჩენების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ მათი სათანადოდ მართვის შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენებისა და მათი შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 5.1.

ცხრილი 5.1.

N	ნარჩნის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათოობის მახასიათებელი	განთავსების/ ადგნის ოპერაციები	სავარაუდო რაოდენობა წელიწარში	შემდგომი მართვა
1	15 02 02*	<p>აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრის ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით</p>	დიახ	H15	D10	1 კგ	<p>შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015</p>
2	16 01 17	შავი ლითონი	არა	-	R4	100 კგ	ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტებს

5.6. ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე

საწარმოს მოწყობა დაგეგმილია წლების წინ სახეცვლილ გარემოში, ყოფილი ქვის დამამუშავებელი საწარმოს შენობის ადგილზე. შესაბამისად მისი მოწყობა ლანდშაფტის სახეცვლილებას არ გამოიწვევს. ამასთან ტერიტორია ღელის კალაპოტში, დაბალ ნიშნულზეა განთავსებული და მგრძობიარე რეცეპტორებიდან შეუმჩნეველია.

ტექნოლოგიური დანადგარები მოეწყობა თავისუფალ ტერიტორიაზე, მოქმედი საწარმო ობიექტის გვედით, შესაბამისად ბიომრავალფეროვნებაზე დამატებით უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს.

განსახილველი მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთით განთავსებულია აკაციის მრავალწლიანი ხეები, ასევე დასავლეთით და სამხრეთით გავრცელებულია ხე მცენარეების ზოლი. აღნიშნული მცენარეები გაშენებულია საპროექტო ტერიტორიის გარეთ. ობიექტის მოწყობა კი დაგეგმილია ყოფილის შენობის ადგილზე, რომელიც მცენარეებისაგან თავისუფალია.

ობიექტის ექსპლუატაციის პროცესს ხე მცენარეებზე რაიმე ზემოქმედება არ ექნება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მნიშვნელოვანი ანთროპოგენული დატვირთვის მქონე ურბანულ ტერიტორიაზე, შესაბამისად აქ არ შეინიშნება ცხოველთა მრავალფეროვნება და გამორიცხებულია მათზე უარყოფითი გავლენა.

5.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საწარმოს 500 მეტრის რადიუსის ზონაში დაცული ტერიტორია და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები განთავსებული არ არის.

საწარმოს მცირე წარმადობისა და დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესების შესაბამისად საწარმოს გარემოზე ზემოქმედება არ გასცდება დაკავებულ ტერიტორიას, შესაბამისად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და დაცულ ტერიტორიებზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს.

5.8. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

საწარმოს მაქსიმალური წარმადობა იქნება 400 ტ ქვის მსხვრევა, რომლის ტრანსპორტირება საჭირო არ არის. საპროექტო საწარმოს მიმდებარედ ფუნქციონირებს ქვის სახერხი საამქრო, რომლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი და დაგროვილია მცირე ზომის ტემენიტის ქვები და ჩამონაჭრელები, რომელსაც საპროექტო საწარმო გამოიყენებს ნედლეულად.

რაც შეეხება პროდუქციის ტრანსპორტირებას, მისი ტერიტორიიდან გატანა მოხდება დაბალი ტვირთამწეობის ტრანსპორტით. საპროექტო წარმადობის გათვალისწინებით, თუ ერთი მანქანის ტვირთამწეობა იქნება 2 ტონა, მოსალოდნელია გადაზიდვების მთლიანი რაოდენობა შეადგენს დღეში ერთ რეისს. ტრანსპორტირება მოხდება საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით და აღმოსავლეთით არსებული გზებით (ნახაზი 4.3.).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობაზე (დღეში 1 გადაზიდვა) ზემოქმედება იმდენად დაბალი იქნება, შეიძლება ნულის ტოლად ჩაითვალოს.

5.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

ნებისმიერი საწარმოს და სამუშაო ადგილის შექმნას დადებითი წვლილი შეაქვს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოში დასაქმებული იქნება 2 ადამიანი, დასაქმებაზე და სოციალურ მდგომარეობაზე ზემოქმედება იქნება დაბალი.

თუმცა საწარმოს საქმიანობა ზრდის მისაწვდომობას სამშენებლო მასალებზე (ღორღი), შესაბამისად მისი ფუნქციონირება დადებითად აისახება არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მეწარმე სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

ამასთან საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსის მთლიანად, უნარჩუნოდ გამოყენებას, რაც შეამცირებს გარემოზე უარყოფით გავლენას.

5.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის.

საწარმოში დასაქმებულების დაშავება მოსალოდნელია უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევით. აღნიშნულის პრევენციის მიზნით გათვალისწინებული იქნება შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა.

მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება გამორიცხულია, რადგან საწარმოში გამოყენებულია მხოლოდ ორი დაბალი წარმადობის სტაციონარული მოწყობილობა და ნედლეულად მხოლოდ ქვის მცირე ზომის ნატეხები. ობიექტი არ არის ხანძარსაშიში, მოსალოდნელი არ არის ტოქსიკური და სახიფათო ნივთიერებების წარმოქმნა გავრცელება.

ამდენად ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების რისკი იმდენად დაბალია, შეიძლება ნულის ტოლად ჩაითვალოს.

5.11. კუმულაციური ზემოქმედება

საწარმო მდებარეობს ანთროპოგენური დატვირთვის მქონე სამრეწველო ზონაში, სადაც ფუნქციონირებს ქვის სახერხი და სამსხვრევი საწარმო. აღნიშნული ობიექტები განლაგებულია მდ. წყალწითელასა და იდუმალას დელის ხეობაში. ხეობის მაღალ ნიშნულზე მდებარეობს საცხოვრებელი სახლები. არსებული ყველა საწარმო განთავსებულია დახურულ შენობებში. ქვის დამუშავება ყველა მათგანში მიმდინარეობს სველი მეთოდით.


საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 იანვრის N17 დადგენილებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N42 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების თანახმად (4.1 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), ობიექტები, რომლებშიც ქვის დამუშავება ხორციელდება სველი მთოდით, არ ექვემდებარება ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას. ამასთან, როგორც 5.1. თავშია განხილული, საპროექტო საწარმოს ფუნქციონირების დროს ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მტვრის კონცენტრაცია იმდენად მცირეა (არაორგანული მტვრის ინტენსივობა შეადგენს 0,0226 გ/წმ), საპროექტო შენობაშიც არ გადააჭარბებს ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას. შესაბამისად არსებულ ობიექტებთან კუმულაციური ეფექტი მოსალოდნელი არ არის.


მიმდებარედ არსებული ქვის სახერხი საამქროს ტექნოლოგიური დანადგარები მთლიანად განთავსებულია კაპიტალურ შენობებში. საპროექტო საწარმოც განთავსებული იქნება დახურულ, ფარდულის ტიპის შენობაში. როგორც არსებული ისე საპროექტო ობიექტები მდებარეობენ ხეობაში, დაბალ ნიშნულზე, მოსახლეობა კი მაღლა მთის ფერდობზე.

ხმაურის მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მიზნით ჩატარდა გაზომვები საპროექტო საამქროს მიმდებარედ არსებული ორი ქვის სახერხი და ერთი ქვის სამსხვრევი საამქროს ფუნქციონირებისას MASTECH/MS6700) ტიპის ხმაურმზომით „ხმ1“, „ხმ2“ და „ხმ3“ წერტილებში (ნახაზი 5.3). გაზომვის წერტილების მახასიათებლები მოცემულია N5.2.ცხრილში.

ცხრილი 5.2.

გაზომვის წერტილის ნომერი	გაზომვის წერტილის კოორდინატები		მანძილი უახლოეს სახლამდე,მ
	X	Y	

b01	317964	4687668	67	
b02	317961	4687608	53	

ხმ3	317988	4687662	56	
-----	--------	---------	----	--

ხმაურის დონე თითოეული წყაროს ზემოქმედებით „r“ მანძილით დაშორებულ საცხოვრებელ სახლთან იანგარიშება ფორმულით:

$$L = L_p - 15lgr + 10lg \Phi - \beta r/1000 - 10lg\Omega, \text{ დბა}$$

სადაც,

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე; გამოყენებული მანქანა დანადგარების სიმძლავრეთა გათვალისწინებით იგი ტოლია 85 დბა.

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi/2$ – სამ წიბოიან კუთხეში;

β – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

„ხმ1“ წყაროსათვის:

$$L=87,3 - 15lg67 + 10 lg1 - 10,5 \times 67/1000 - 10 lg12,56=87,3-15 \times 1,83-0,7-11=48,15\text{დბა};$$

„ხმ2“ წყაროსათვის:

$$L=76,1 - 15lg53 + 10 lg1 - 10,5 \times 53/1000 - 10 lg12,56=76,1-15 \times 1,72-0,56-11=38,74\text{დბა};$$

„ხმ3“ წყაროსათვის:

$$L=67,6 - 15\lg 56 + 10 \lg 1 - 10,5 \times 56/1000 - 10 \lg 12,56=67,6-15 \times 1,75-0,59-11=29,79\text{დბა.}$$

ხმაურის ჯამური დონე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან გამოითვლება ფორმულით:

$$L=L_0 + \Delta L \text{ დბა}$$

სადაც,

L არის ხმაურის ჯამური დონე,დბა;

L_0 -წყაროებიდან მაქსიმალურის მნიშვნელობა,დბა;

ΔL -შემასწორებელი კოეფიციენტი,რომელიც დამოკიდებულია წყაროების დონეთა შორის სხვაობაზე და აიღება N18 ცხრილიდან (УДК 658.382(076)Н.Н. Симакова, Т.В. Колбасенко, Л.П. Власова. **Безопасность жизнедеятельности. Методические указания к практикуму/СибГУТИ.- Новосибирск, 2009 г. - с.98).**

თავდაპირველად ხდება უდიდესი ხმაურის დონის მქონე წყაროების („ხმ1“და „ხმ2“) დონეთა მნიშვნელობების შეკრება.

განსახილველ შემთხვევაში ხმაურის დონეთა შორის სხვაობა შეადგენს $48,15-38,74=9,41$

ΔL -ის შესაბამისი მნიშვნელობა ცხრილი 18-ის მიხედვით 0,4-ს ტოლია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო საწარმოს ტერიტორიაზე ხმაურის საანგარიშო დონე იქნება

$$L_{1,2} = 48,15 + 0,4 = 48,55 \text{დბა.}$$

ამის შემდეგ ხდება საპროექტო საამქროდან საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონის ($L_{\text{საპრ}}=36$ დბა)(იხილე 5.2 პარაგრაფი) და $L_{1,2}$ ჯამური დონის შეკრება.

$L_{1,2}$ და საპროექტო წყაროს ხმაურის დონეთა შორის სხვაობა შეადგენს $48,55-36=12,15$ დბა;

ΔL -ის შესაბამისი მნიშვნელობა ცხრილი 18-ის მიხედვით 0,2-ს ტოლია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო საწარმოს ტერიტორიაზე ხმაურის საანგარიშო დონე იქნება


$$L_{1,2,\text{საპრ}} = 48,55 + 0,2 = 48,75 \text{დბა.}$$

$L_{1,2,\text{საპრ}}$ და „ხმ3“ წყაროების ხმაურის დონეთა შორის სხვაობა შეადგენს $48,75-29,79=18,96$ დბა;

ΔL -ის შესაბამისი მნიშვნელობა ცხრილი 18-ის მიხედვით 0-ს ტოლია.აღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის საანგარიშო დონე იქნება 48,75 დბა.

როგორც 5.2 პარაგრაფშია აღნიშნული, საცხოვრებელი სახლი კაპიტალურია და ლიტერატურული მონაცემებით (Борьба с шумом на производстве. Справочник. Е.Юдин. М.1985. გვერდი 173; 224) კედლების ეფექტურობა 25-30 დბა-ს შეადგენს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საცხოვრებელ და საძილე სათავსოებში ხმაურის დონე არ გადააჭარბებს $48,75-25=23,75$ დბა-ს, რაც აკმაყოფილებს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილი არ ექნება უარყოფით კუმულაციურ ეფექტს.



როგორც 4.2. ქვეთავშია განხილული, საპროექტო სამსხვრევის მოწყობა დაგეგმილია არსებული ქვის სახერხი საწარმოების ტერიტორიებზე დაგროვილი ქვის მცირე ნატეხების გადამუშავების მიზნით. აღნიშნულის გამო საპროექტო ობიექტის კუმულაციური ეფექტი არსებულთან იქნება დადებითი, რადგან ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების უარჩენოდ გადამუშავებას.

5.12. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საწარმოს ტიპის, წარმადობის, გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეობისა და მასშტაბის, ასევე მისი განთავსების ტერიტორიის გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დაწართები

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.



მწიკს (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 39.07.23.033**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882023018069 - 12/01/2023 11:54:45

მომზადების თარიღი
12/01/2023 13:10:20

საკუთრების განყოფილება

ზონა გციბული	სექტორი კურსები	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუსგებელი ფართობი: 501.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:39.07.09.104; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:NI - დანგრეული
39	07	23	033	

მისამართი: რაიონი გციბული , სოფელი კურსები

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882021750476 , თარიღი 06/09/2021 11:48:32
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/09/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:06/09/2021 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:
შურაბი ჩიგორელიძე ,P/N: 41001009750

მესაკუთრე:
შურაბი ჩიგორელიძე

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირაფენობა:
რეგისტრირებული არ არის

ვალებულება

ყადაღა/აკრძალვა:
რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:
რეგისტრირებული არ არის

"ფინიკური პირის მიერ 2 წლამდე ედგომი საკუთრებაში არსებული მატერიალური ბეჭეთის რეალიზაციის, აგრეთვე საგადასახადო წესის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი დანებულების ქონების საბუქროდ მიღების სამქონისიველი გადასახადი გადახდის ვალდებულება საინფორმაციო წესის მიხედვით წესის 1 პარაგრაფში აღნიშნული ფინიკური პირი ასევე ედგომი წარუდგენს დეკლარაციის საგადასახადო ორგანიზაციის აღნიშნული ვალდებულების შევსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართლებრივ დეკლარაციას, რაც იწვევს პასუხისმგებლობის საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნაწილობის გადაიწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული საიტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამინაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერბიონულ სარეესტრაციო სამსახურში, აუდიტის სახელისა და საიტის ადგილობრივ პარტნიორს;
- ამინაწერში გვენიკური ხარულის აღმოჩენის შემთხვევაში დავაკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეგიყოთ განიხილო ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია აუდიტის სახელის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დავაკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინფორმაციო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 2. იჯარის ხელშეკრულება.

იჯარის ხელშეკრულება
ტყიბული, 01 დეკემბერი 2022წ.

§1. ხელშეკრულების მხარეები

ეს ხელშეკრულება დადებულია მხარეებს შორის:
ერთის მხრივ, ი/მ ზურაბ ჩიტორელიძე პ/ნ 41001009750, მისამართი:
ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურსები, - შემდეგში: „მეიჯარე“
და
მეორეს მხრივ, ფ/პ ზურაბ ჩიტორელიძე პ/ნ 41001028549, მისამართი:
ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურსები, - შემდეგში: „მოიჯარე“

§2. ხელშეკრულების საგანი

- (1) ამ ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე, მის საკუთრებაში არსებულ 501კვ.მ. ფართს, გადასცემს მოიჯარეს დროებით სარგებლობაში:
 - მისამართი: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურსები.
 - ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო.
 - საკადასტრო კოდი: 39.07.23.033.
- (2) მოიჯარეს უძრავი ნივთი გადაეცემა ეკონომიკური საქმიანობისათვის.

§3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

- (1) მეიჯარე ვალდებულია:
 - ხელშეკრულების ხელმოწერიდან გადასცეს ხელშეკრულების საგანი მოიჯარეს დროებით სარგებლობაში;
 - უზრუნველყოს მოიჯარე თავისუფლად გამოიყენოს იჯარით აღებული ნივთი ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
 - გადასცეს მოიჯარეს ხელშეკრულების საგანი შეთანხმებულ მდგომარეობაში;
- (2) მოიჯარე ვალდებულია:
 - მოუაროს იჯარით აღებულ ნივთს და დაიცვას უსაფრთხოების წესები;

- იჯარით აღებულ ნაკვეთზე რაიმე ზიანის მიყენების შემთხვევაში, აღმოფხვრას მიყენებული ზიანი;
- (3) მოიჯარე უფლებამოსილია იჯარით აღებულ ობიექტზე შეიტანოს გარკვეული ნივთები, რაც მისთვის აუცილებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ეს ნივთები უბრუნდება მოიჯარეს.
- (4) მეიჯარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს მოიჯარისათვის გადაცემული ფართობის დათვალიერება.

§4. სახელშეკრულებო ვადა

- (1) ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.
- (2) სიჯარო პერიოდი განისაზღვრება 01 დეკემბერი 2022 წ-დან 30 ნოემბერი 2023 წ-მდე.

§5. ხელშეკრულების შეწყვეტა

- (1) ხელშეკრულება წყდება სახელშეკრულებო ვადის გასვლის შედეგად (თუ არ მოხდა იჯარის ვადის გაგრძელება მოიჯარის მიერ).
- (2) ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

§6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

- (1) თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის.
- (2) თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.
- (3) დაუძლეველი ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:
 - ხანძარი და აფეთქება, მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვა სტიქიური უბედურება;

- სამხედრო აჯანყება, ომი.
- (4) ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

§7. დამატებითი პირობები

- (1) წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
- (2) ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით ახალი გარიგების დადებით.
- (3) სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების ან ხელშეკრულების სხვაგვარად შეწყვეტის შედეგად, მოიჯარემ მიეჯარეს უნდა დაუბრუნოს ნივთი იმავე მდგომარეობაში, რაც მან მიიღო, ბუნებრივი ცვლის პირობების გათვალისწინებით. ამასთან, მხარეებმა ერთმანეთის წინაშე უნდა შეასრულონ ის ვალდებულებები, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა და არ შესრულებულა.

§8. მხარეთა ხელმოწერა

(1) მიეჯარე:

ი/მ ზურაბ ჩიტორელიძე

პ/ნ 41001009750


მის.: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ.
კურსები


(2) მოიჯარე:

ფ/პ ზურაბ ჩიტორელიძე

პ/ნ 41001028549

მის.: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ.
კურსები





დანართი 3. მერიის წერილი.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თყიბულის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
TKIBULI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 74-742236140
თარიღი: 27/12/2022

ადრესატი: ზურაბი ჩიტორელიძე
პირადი ნომერი: 41001028549
მისამართი: ტყიბული ს. კურსები 23-ე ქ. N 15

მცხოვრებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ
კურსებში მოქალაქე ზურაბ ჩიტორელიძეს პ/ნ
41001028549 მობ: 579 40 24 23

ბატონო ზურაბ,

თქვენი მიმდინარე წლის 16 დეკემბრის განცხადების პასუხად, რომელს შეეხება სოფელ კურსებში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 39.07.23.033) თქვენს მიერ განხორციელებული საქმიანობის ადგილის ფუნქციური ზონის და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან თავსებადობის შესახებ ტყიბულის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული მიწათმოწყობის გენერალური გეგმის არსებობას, გაცნობებთ რომ განცხადებაში მითითებულ ტერიტორიაზე შესაბამისი გეგმა არ არსებობს.

პატივისცემით,

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



საქართველო, 4300, თყიბული, კარლო ლომაძის მოედანი N3,
ტელეფონი: 0(497)22 20 20; ელ.ფოსტა:
CONTACTTKIBULI@TKIBULI.GOV.GE; ვებ-გვერდი: WWW.TKIBULI.GOV.GE
GEORGIA, 4300, TKIBULI, KARLO LOMADZE SQ N3, TELEPHONE: 0(497)22 20
20; E-MAIL: CONTACTTKIBULI@TKIBULI.GOV.GE; WEBSITE:
WWW.TKIBULI.GOV.GE

დანართი 4. პასუხები სააგენტოს № 21/781 09/02/2023 წერილზე

№	შენიშვნა	პასუხი
1	<p>წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან 10 მეტრში მიედინება ზედაპირული წყლის ობიექტი - დეღე იდუმალას წყალი, შესაბამისად სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საქმიანობის შედეგად აღნიშნულ ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედების შესახებ</p>	<p>სკრინინგის ანგარიშში თავი 5.4. განხილულია, რომ ტექნოლოგიური პროცესი არის მშრალი, რომელიც მიმდინარეობს გადახურულ ფართში.ამდენად, საწარმოო მოედანზე ატმოსფერული ნალექების წყალი ვერ მოხვდება, შესაბამისად ვერ გამოიწვევს სანიაღვრე წყალების დაბინძურებას.</p> <p>არ წარმოიქმნება ჩამდინარე (მათ შორის საყოფაცხოვრებო ჩამდინარე) წყლები.</p> <p>საპროექტო საწარმო დელის კალაპოტიდან დაშორებული იქნება 10 მ-ზე მეტი მანძილით. საწარმოში არ გამოიყენება ისეთი ნედლეული და მასალები, რომელთა გარემოში გაფანტვა გამოიწვევს ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურებას.</p> <p>ამდენად წყლის რესურსებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.</p> <p>ინფორმაციის დაზუსტებისათვის სკრინინგის ანგარიშში დაემატა ინფორმაცია, რომ იდუმალას დეღეზე ზემოქმედების რისკი არ არსებობს.</p>
2	<p>სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეებისა და დაგეგმილი საქმიანობის შედეგად (როგორც მოწყობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე) მათზე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე;</p>	<p>სკრინინგის განაცხადში, განხილულია, რომ საპროექტო ობიექტი მოეწყობა ყოფილი შენობის ადგილას, სადაც მცენარეთა საფარი არ არის. ტერიტორიის ირგვლივ დგას მრავალწლიანი ხე მცენარეები, რომელზედაც ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაცია გავლენას ვერ მოახდენს.</p> <p>ინფორმაცია დამატებით დაზუსტდა სკრინინგის განაცხადში.</p>

3	<p>სკრინინგის განცხადებაში, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების ნაწილში ტემენიტის გარდა მითითებულია ასევე კირქვის მსხვრევა და დახარისხება, რაც არ არის განხილული სკრინინგის განცხადებაში, შესაბამისად აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;</p>	<p>შენიშვნა მიღებულია, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების ნაწილში სიტყვა „კირქვა“ ამოღებულია.</p>
4	<p>დოკუმენტში მოცემულია მოსალოდნელი ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები, რომლის თანახმადაც უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე 48,88 დბა-ს შეადგენს, რაც არ არის შესაბამისობაში „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან, შესაბამისად სკრინინგის განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ</p>	<p>„საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან, შესაბამისად - „ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს“ ხმაურის დასაშვები დონე დღის საათებში შეადგენს - 50 დბა-ს.</p> <p>სკრინინგის განაცხადში მითითებულია, რომ ობიექტი იმუშავებს მხოლოდ დღის საათებში, დღეში მაქსიმუმ 4 საათი; 48,8 დბა-ხმაური მოსალოდნელია, თუ არ გავითვალისწინებთ საპროექტო ობიექტის სათავსოში განთავსებას და დასახლებულ-პუნქტსა და საწარმოს შორის არსებულ სხვა ბარიერებს.</p> <p>რაც შეეხება შემარბილებელ ღონისძიებებს, აღნიშნულს წარმოადგენს მსუბუქი კონსტრუქციის, ფარდულის ტიპის შენობა, რომელშიც განთავსდება საპროექტო სამსხვრევი დანადგარი.</p>
5	<p>სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან 100 მეტრის რადიუსში განთავსებულია საცხოვრებელი სახლები, შესაბამისად სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული საცხოვრებელი სახლების (საპროექტო ტერიტორიიდან დაშორების მანძილების</p>	<p>საპროექტო საწარმოსთან განთავსებულ უახლოეს საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები ადამიანები ინფორმირებული არიან ობიექტის მოწყობის შესახებ.</p> <p>წარმოგიდგენთ კომუნიკაციისა და მათი თანხმობის დამადასტურებელ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.</p>

	<p>მითითებით) მესაკუთრებთან კომუნიკაციისა და საქმიანობის განხორციელებაზე მათი თანხმობის შესახებ;</p>	
<p>6</p>	<p>წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში ფუნქციონირებს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოები, შესაბამისად დოკუმენტი უნდა მოიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას არსებული საწარმოო ობიექტებისა და მათი ფუნქციური დანიშნულების შესახებ, აგრეთვე, საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის გათვალისწინებით.</p>	<p>საპროექტო ტერიტორიის 500 მეტრიან ზონაში არსებული ობიექტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ნახაზზე 3.4. და 3.5.</p> <p>როგორც აღნიშნულია, არსებულ ობიექტებზე ქვის გადამამუშავება ხორციელდება სველი მეთოდით. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 იანვრის N17 დადგენილებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N42 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების თანახმად (4.1 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), ობიექტები, რომლებშიც ქვის დამამუშავება ხორციელდება სველი მეთოდით, არ ექვემდებარება ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას. როგორც 5.1. თავშია განხილული, საპროექტო საწარმოს ფუნქციონირების დროს ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მტვრის კონცენტრაცია იმდენად მცირეა, შენობაშიც არ გადააჭარბებს ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას. შესაბამისად არსებულ ობიექტებთან კუმულაციური ეფექტი მოსალოდნელი არ არის.</p> <p>მიმდებარედ არსებული ქვის სახერხი საამქროს ტექნოლოგიური დანადგარები მთლიანად განთავსებულია კაპიტალურ შენობებში. საპროექტო საწარმოც განთავსებული იქნება დახურულ, ფარდულის ტიპის შენობაში. როგორც არსებული ისე საპროექტო ობიექტები მდებარეობენ ხეობაში, დაბალ ნიშნულზე, მოსახლეობა კი მაღლა მთის ფერდობზე. საპროექტო საწარმოს მცირე წარმადობის, გამოყენებული მცირე ზომის დანადგარებისა და შეზღუდული სამუშაო საათების (დღეში 4 საათი) გამო, ობიექტის გარემოზე ზემოქმედება იმდენად დაბალია, ვერ</p>

		<p>გასცდება საპროექტო ტერიტორიას. ამდენად მისი ფუნქციონირება არსებულ ობიექტებთან მნიშვნელოვან კუმულაციურ ეფექტს არ გამოიწვევს.</p> <p>როგორც 4.2. ქვეთავშია განხილული, საპროექტო სამსხვრევის მოწყობა დაგეგმილია არსებული ქვის სახერხი საწარმოების ტერიტორიებზე დაგროვილი ქვის მცირე ნატეხების გადამუშავების მიზნით. აღნიშნულის გამო საპროექტო ობიექტის კუმულაციური ეფექტი არსებულთან იქნება დადებითი, რადგან ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების უნარჩენოდ გადამუშავებას.</p> <p>აღნიშნული ინფორმაცია დაემატა სკრინინგის განაცხადში.</p>
--	--	---